

თავი 11 კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება



სარჩევი

11	კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები	11-1
11.1	შესავალი	11-1
11.2	სივრცობრივი და დროითი საზღვრები	11-1
11.2.1	კუმულაციური	11-1
11.2.2	ტრანსსასაზღვრო	11-2
11.3	პროექტის მიმოხილვა	11-2
11.3.1	მილსადენის დამატებითი მონაკვეთების დაPRMS გაფართოების ტერიტორიებზე არსებული სხვა სამშენებლო სამუშაოები	11-3
11.3.2	ძირითადი სამშენებლო სამუშაოები	11-3
11.3.3	ნავთობის და გაზის არსებული მილსადენები	11-4
11.3.4	მარნეულის ქვესადგურის გაფართოება	11-4
11.3.5	ტრანს-ანატოლიური გაზსადენი	11-5
11.4	პოტენციური დამატებითი ზემოქმედებების შეფასება	11-5
11.4.1	ბუნებრივი რესურსების გამოყენება	11-6
11.4.2	ნიადაგები და გრუნტის მდგომარეობა	11-6
11.4.3	ლანდშაფტი	11-6
11.4.4	წყლის რესურსები	11-6
11.4.5	ეკოლოგია	11-7
11.4.6	ჰაერის ხარისხი	11-7
11.4.7	ხმაური და ვიბრაცია	11-7
11.4.8	კულტურული მემკვიდრეობა	11-8
11.4.9	დასაქმება და უნარები	11-8
11.4.10	საარსებო წყაროები	11-8
11.4.11	ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება	11-9
11.4.12	სატრანსპორტო მოძრაობა	11-9
11.4.13	დაუგეგმავი ღონისძიებები	11-9
11.4.14	პოტენციური დამატებითი ზემოქმედებების სივრცობრივი საზღვრები	11-10
11.5	შესაძლო კომბინირებული ზემოქმედებების შეფასება	11-10
11.6	ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შეფასება	11-12
11.6.1	ადგილობრივი ზემოქმედებების საქართველო-თურქეთის საზღვარზე	11-12
11.6.2	მდინარეები ფოცხოვი და მტკვარი	11-12
11.6.3	ატმოსფერო	11-13
11.6.4	სათბურის აირების ემისია	11-13

ცხრილები

ცხრილი 11-1:	პოტენციური დამატებითი ზემოქმედებები	11-5
ცხრილი 11-2:	დამატებითი ზემოქმედებების სივრცობრივი საზღვრები	11-10
ცხრილი 11-3:	სამშენებლო ფაზის კომბინირებული ზემოქმედებების შეჯამება	11-11

სურათი

სურათი 11-1:	საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის ბრუნვა	11-4
--------------	--	------

11 კუმულაციური და ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები

11.1 შესავალი

წინამდებარე თავში წარმოდგენილია იმ ორი ტიპის პოტენციური კუმულაციური ზემოქმედების შეფასება, რომლებიც შესაძლოა გამოიწვიოს SCPX-ის საინჟინრო პროექტის განახლებებმა, კერძოდ მილსადენის დამატებითა მონაკვეთებმა (მცირე დამატებითი შეცვლილი მარშრუტების ჩათვლით, რომლებიც წარმოადგენს ESIA-ს დამატების შესწორებული ვარიანტის შესწავლის საგანს). ეს ზემოქმედებები ზოგადად ცნობილია, როგორც “დამატებითი” და “კომბინირებული” ზემოქმედებები და განმარტებულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 11.1.

ESIA-ს დამატების მე-10 თავში, უკვე განხილულია შემოთავაზებული SCPX პროექტის კუმულაციური (ან დამატებითი) ზემოქმედებები უკვე არსებული მილსადენების ზემოქმედებებთან ერთად, როგორცაა BTC და SCP მილსადენები, რამდენადაც ეს მილსადენები წარმოადგენს არსებული ფონური მდგომარეობის ნაწილს.

წინამდებარე თავში ასევე მოცემულია მილსადენის დამატებითი მონაკვეთებით გამოწვეული პოტენციური ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შეფასება. ამ თავში შეფასებულია დამატებითი მონაკვეთებით გამოწვეული ის ზემოქმედებები ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე, რომლებიც შესაძლებელია გავრცელდეს საქართველოს საზღვრებს გარეთ და იქონიოს გავლენა სხვა ქვეყნებში არსებულ სენსიტიურ რეცეპტორებზე.

11.2 სივრცობრივი და დროითი საზღვრები

შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთებით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედებები წინამდებარე თავში განხილულია ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, მაშინ როცა საინჟინრო პროექტის განახლებები ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები საერთაშორისო დონეზე განიხილება.

11.2.1 კუმულაციური

ეროვნული დონე

სხვა შემოთავაზებული პროექტებით გამოწვეული ზემოქმედებები საქართველოში არსებულ ერთი და იგივე სენსიტიურ რეცეპტორზე, რომელზეც ასევე შეიძლება იმოქმედოს SCPX პროექტმა, ხორციელდება სხვადასხვა გზით. რამდენადაც საინჟინრო პროექტის განახლებებმა გამოიწვია მილსადენის სიგრძის ზომიერი და PRMS-ის ფიზიკური კვალის მცირე ზრდა, ეროვნულ დონეზე პროექტის კუმულაციური ზემოქმედებებში ცვლილებები მოსალოდნელი არ არის. ეს ზემოქმედებები აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მე-11 თავში.

ადგილობრივი დონე

შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების და PRMS-ის გაფართოების ტერიტორიაზე კუმულაციური ზემოქმედებები უფრო მეტი ალბათობით აღნიშნული იქნება შემდეგ ადგილებში:

- სამშენებლო სამუშაოებისთვის გამოყენებული ადგილები, სადაც შეიძლება დაზიანდეს ნიადაგი და კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, კერძოდ, SCP კმ56.6-დამ კმ62.3-მდე და PRMS კმ50-2.5 შორის 48”-დიამეტრიანი მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სამშენებლო დერეფანი.

- PRMS ინფრასტრუქტურის გაფართოება.
- ადგილები, საიდანაც გამოჩნდება მილსადენის და PRMS-ის მშენებლობა.
- მილსადენის მონაკვეთებიდან და PRMS-ის გაფართოებიდან დაახლოებით 300მ-მდე მანძილზე მდებარე ადგილები, სადაც შეიძლება დაგროვდეს მშენებლობის შედეგად წარმოქმნილი მტვერი.
- ადგილები, სადაც სამშენებლო სამუშაოებისგან წარმოქმნილი ხმაური ისმის (დაახლოებით 400მ მანძილზე მილსადენის სამშენებლო დერეფნიდან და PRMS-დან).
- მდინარე ფოცხოვი, საიდანაც განხორციელდება წყალაღება ჰიდროსტატიკური ტესტირებისთვის.
- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფ დასახლებები (PAC-ები).
- გზებზე, რკინიგზებსა და პორტებში, რომლებიც გამოყენებული იქნება SCPX პროექტის ლოჯისტიკისთვის და მშენებლობასთან დაკავშირებული ტრანსპორტის მოძრაობისთვის.

დროითი

მშენებლობის ფაზის ზემოქმედებების შეფასების დროითი საზღვები მოიცავს პერიოდს, რომლის დროსაც შემოთავაზებულია სამშენებლო სამუშაოების ჩატარება და პერიოდს, რომლის დროსაც განხორციელდება ბიო-ადდენა და ლანდშაფტის გამწვანება. ეს არის დაახლოებით 10 წლიანი პერიოდი. მილსადენის ექსპლუატაციით გამოწვეული ზემოქმედება განსაზღვრულია პროექტის მოქმედების ვადით, რაც შეადგენს 30 წელს.

11.2.2 ტრანსსასაზღვრო

საერთაშორისო დონე

ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება ეხება იმ გზებს, რომელთა საშუალებითაც დამაბინძურებლები შეიძლება გადაადგილდეს თურქეთში არსებული სენსიტიური რეცეპტორებისკენ. პრაქტიკაში, ეს ეფექტები შემოიფარგლება ატმოსფერული დამაბინძურებლების გავრცელებით ეროვნული საზღვრების ფარგლებს გარეთ. სათბურის აირების ემისიები ასევე განხილულია ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებებში. შესაძლოა არსებობდეს მუშახელის ტრანსსასაზღვრო მიგრაცია საქართველოსა და თურქეთს შორის ტრანს-ანატოლიურ გაზსადენის (TANAP) პარალელურად მშენებლობის გამო, თუმცა ასეთი მიგრაციის ალბათობა ძალიან მცირეა. ასევე არსებობს პოტენციური ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები, რომლებიც უკავშირდება მდინარე ფოცხოვიდან ჰიდროტესტირების საჭირო წყალაღებას; ეს მდინარე სათავეს იღებს თურქეთში, შემდეგ მოედინება საქართველოს ტერიტორიაზე და ბოლოს ჩაედინება მდინარე მტკვარში, რომელიც კვეთს საქართველოსა და აზერბაიჯანის საზღვარს. აზერბაიჯანთან დაკავშირებული ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებები განხილულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 11.2.

11.3 პროექტის მიმოხილვა

ამ თავში იდენტიფიცირებულია მშენებლობები და ამ მშენებლობებით გამოწვეული ზემოქმედებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს SCPX პროექტზე მისი მშენებლობის ან ოპერირების სტადიებზე. ის პროექტები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს მომავალში, თუმცა ნათლად ჩამოყალიბებული განაცხადი მათ შესახებ საზოგადოებისთვის ჯერ ცნობილი არ არის, ანგარიშში არ არის ჩართული.

შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების და PRMS-ის გაფართოების ტერიტორიებზე სხვა მშენებლობების იდენტიფიცირებისთვის ჩატარდა მსხვილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების (როგორცაა მსოფლიო ბანკი, აზიური განვითარების ბანკი, საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია და სხვ.) და საქართველოს

საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ შემოთავაზებული ან განხორციელების ეტაპზე მყოფი პროექტების კვლევა ინტერნეტ რესურსის გამოყენებით და შედეგები განხილული იქნა 2013 წლის ნოემბერში ჩატარებული ლანდშაფტის კვლევის დაკვირვებებთან ერთად. საინჟინრო პროექტის განახლებების განხორციელების ტერიტორიებზე სხვა დაგეგმილი მშენებლობების შესახებ ინფორმაცია მოთხოვნილი იქნა საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციისგან (GOGC), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსგან (MoESD), საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან (MENR), საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროსგან (MoRDI) და ენერჯეტიკის სამინისტროსგან (MoE). მიღებული პასუხები გადახედილი იქნა, ინტერნეტით ჩატარებული კვლევის შედეგებთან ერთად და იდენტიფიცირებული იქნა სამშენებლო პროექტების შესახებ მთელი რიგი წინადადებები, რომლებსაც მათი ახლო განლაგების, მასშტაბის და ვადების გამო, აქვთ პოტენციური წარმოშვან კუმულაციური ზემოქმედებები, შემოთავაზებულ SCPX მილსადენის დამატებით მონაკვეთებთან ერთად, მათი განხილვის შემთხვევაში. მიღებული რეგულაციური ინფორმაცია გამოყენებული იქნა ამ თავში. წინამდებარე თავი მხოლოდ აღწერს პროექტებს, რომლებიც შემოთავაზებული მილსადენის დამატებით მონაკვეთებს და PRMS-ის გაფართოებას უკავშირდება და არ იმეორებს ინფორმაციას, რომელიც უკვე მოცემულია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში.

შემოთავაზებული სამშენებლო პროექტების ვადების შესახებ ინფორმაცია ჩართულია წინამდებარე თავში, თუ ასეთი ინფორმაცია არსებობს. სადაც ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომი არ არის, პროფესიული განსჯის საფუძველზე შეფასდა სხვა პროექტების მშენებლობის ან ექსპლუატაციის თანხვედრის ალბათობა შემოთავაზებული SCPX პროექტის მშენებლობასთან/ექსპლუატაციასთან. ქვემოთ მოცემულ თავებში დეტალურადაა აღწერილი პროექტები, რომლებიც იდენტიფიცირებული იქნა კვლევის დროს და განხილულია თუ სავარაუდოდ რომელი პროექტები გამოიწვევს შემოთავაზებულ SCPX პროექტთან ერთად კუმულაციურ ზემოქმედებებს. ეს პროექტები განხილულია ქვეთავში 11.4 – დამატებითი ზემოქმედებების შეფასება.

11.3.1 მილსადენის დამატებითი მონაკვეთების და PRMS გაფართოების ტერიტორიებზე არსებული სხვა სამშენებლო სამუშაოები

შემოთავაზებული ან მიმდინარე მშენებლობები, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს SCPX მილსადენის დამატებითი მონაკვეთების ტერიტორიებზე ასევე მოიცავს ქვემოთ მოცემულ მშენებლობებს:


- მარნეულის ქვესადგურის გაფართოება
- ახალი ბენზინგასამართი სადგურის მშენებლობა თურქეთის საზღვართან (PRMS კმნ2-ის ახლოს)
- TANAP-ის მშენებლობა, რომელიც დაუკავშირდება შემოთავაზებული SCPX მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთს საქართველო-თურქეთის საზღვარზე
- შემოთავაზებული ხაიმის წყალმომარაგების მილსადენი.

11.3.2 ძირითადი სამშენებლო სამუშაოები

2011-2012 წლებში საქართველოში აღინიშნა სამშენებლო დარგის მდგრადი განვითარება (იხ. სურათი 11-1). 2010 და 2011 წლებს შორის მშენებლობის საერთო მოცულობა გაორმაგდა; ხოლო 2011 და 2012 წლებს შორის გაიზარდა კიდევ 30%-ით (<http://www.geostat.ge>). ქვემო ქართლში, სადაც უნდა განთავსდეს შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთი, აღინიშნა განსაკუთრებით სწრაფი ზრდა 2011-2012 წლებში. შესაბამისად, შემოთავაზებული SCPX მილსადენის დამატებითი

მონაკვეთების სიახლოვეს არსებობს მშენებლოვანი მოცულობის სამშენებლო სამუშაოების და მშენებლობასთან დაკავშირებული სატრანსპორტო სამუშაოების გადაადგილების პოტენციალი.

ბრუნვა სამშენებლო დარგში



სახელმწიფო სტატისტიკიდან <http://www.geostat.ge>.

სურათი 11-1: საქართველოს სამშენებლო ინდუსტრიის ბრუნვა

11.3.3 ნავთობის და გაზის არსებული მილსადენები

შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთები ძირითადად განთავსდება იგივე დერეფანში, რომელშიც გადის BTC ნავთობსადენი და SCP გაზსადენი. BTC და SCP მილსადენების ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებმაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს SCPX პროექტზე აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 11.3.3.

PRMS-ის გაფართოება კუმულაციური ზემოქმედებების შეფასებაზე გავლენას არ იქონიებს, რამდენადაც PRMS განთავსდება SCP უბანი 80-ის გვერდით, როგორც ეს აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 11.3.4. შემოთავაზებული SCPX მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი დააკავშირებს PRMS-ს შემოთავაზებულ TANAP-თან, რომელიც დაიწყება საქართველო/თურქეთის საზღვართან. ორივე SCPX-სა და TANAP-ის სამშენებლო სამუშაოები დაგეგმილია 2015-2017 წლებში და შესაძლოა ამ ტერიტორიაზე გამოიწვიოს კუმულაციური ზემოქმედებები (იხ. ქვეთავი 11.6).

11.3.4 მარნეულის ქვესადგურის გაფართოება

საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის (GSE) მიერ შემოთავაზებულია მარნეულის ქვესადგურის გაფართოება, რომელიც მდებარეობს დაახლოებით 9კმ მანძილზე შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთის აღმოსავლეთით (GSE, 2013). გაფართოება დაგეგმილია 2014-2016 წლებში, მას შემდეგ, რაც გაცემული იქნება ყველა საჭირო ნებართვა; მშენებლობა გარკვეული დროის მანძილზე დაემთხვევა SCPX სამშენებლო სამუშაოების განრიგს. ერთი მცირე ზომის მისასვლელი გზა მარნეულსა და რუსთავს შორის, რომელიც გამოყენებული იქნება SCPX პროექტის ფარგლებში, მდებარეობს მარნეულის ქვესადგურის სიახლოვეს. ქვესადგურის გაფართოებისთვის შემოთავაზებული მისასვლელი გზების მდებარეობა გამოქვეყნებულ

ESIA-ში აღნიშნული არ არის. არსებობს ადგილობრივად კუმულაციური ზემოქმედებების წარმოქმნის ალბათობა იმ შემთხვევაში, თუ ორივე პროექტის სატრანსპორტო საშუალებები გზას ერთდროულად გამოიყენებენ.

11.3.5 ტრანს-ანატოლიური გაზსადენი

საქართველო-თურქეთის საზღვარზე შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთი დაუკავშირდება შემოთავაზებულ TANAP-ს, რომელიც გადაკვეთს თურქეთის ტერიტორიას და გაზს მიაწვდის თურქ და ევროპელ მომხმარებლებს. უშუალო სიახლოვის და ოროვე პროექტის ერთდროული მიმდინარეობის გამო შესაძლებელია ლოკალურად წარმოიშვას კუმულაციური ზემოქმედებები. გარდა ამისა, რამდენადაც SCPX მილსადენი სრულდება ეროვნულ საზღვართან არსებობს ალბათობა, რომ SCPX-ის ზემოქმედებები ლოკალურად გავრცელდეს თურქეთის ტერიტორიაზეც, რის გამოც, ეს ზემოქმედებები გახდება ტრანსსასაზღვრო.

11.4 პოტენციური დამატებითი ზემოქმედებების შეფასება

შემდეგ თავებში მოცემული პოტენციური დამატებითი ზემოქმედებები შეფასებულია მე-7 და მე-8 თავებში მოცემული ფონური მდგომარეობების გათვალისწინებით. როცა სხვა პროექტების შესახებ არსებობს საკმარისი ინფორმაცია, გამოყენებულია იგივე კრიტერიუმები და შეფასების სისტემა, რომლებსაც SCPX პროექტის შემთხვევაში იყენებენ შესაძლო ზემოქმედებების დონეების იმ განმარტებების შესაბამისად, რომლებიც მე-3 თავშია მოცემული. იმ შემთხვევებში, როცა პროექტის შესახებ საკმარისი ინფორმაცია არ არსებობს, მნიშვნელობის შეფასების ამ კრიტერიუმების გამოყენება მიზანშეწონილი არ არის. იმის განსასაზღვრად, შესაძლო ნარჩენი ზემოქმედებები დადებითია, უარყოფითი თუ ნეიტრალური (ე.ი. არანაირი კუმულაციური ზემოქმედება არ არსებობს) ეყრდნობიან პროფესიონალურ მსჯელობას.

ქვემოთ მოცემულია პოტენციური კუმულაციური ზემოქმედებები და/ან ურთიერთქმედებების ტიპი, რომლებსაც შეიძლება ადგილი ჰქონდეს მაშინ, როცა SCPX პროექტი განიხილება სხვა სამშენებლო პროექტებთან კონბინაციაში და როცა ამ პროექტების შესახებ არსებობს საკმარისი ინფორმაცია (იხ. ცხრილი 11-1). ყოველი პოტენციური კუმულაციური ზემოქმედება უფრო დეტალურად განხილულია შემდეგ თავებში. სადაც არსებობს საკმარისი ინფორმაცია, ასევე მოცემული იქნება მნიშვნელობის შეფასება მე-3 თავში აღწერილი წესის მიხედვით.

ცხრილი 11-1: პოტენციური დამატებითი ზემოქმედებები

ასპექტი	ნავთობის და გაზის არსებული მილსადენები	მარნეულის ქვესადგურის გაფართოება	TANAP
ბუნებრივი რესურსები		-	
ნიადაგი	+		+
ლანდშაფტი			
წყლის რესურსები			+
ეკოლოგია	-		-
ჰაერის ხარისხი	-	-	-
ხმაური და ვიბრაცია	-	-	-
კულტურული მემკვიდრეობა	+		
დასაქმება და უნარები	+	+	+
საარსებო წყაროები	+		+

ასპექტი	ნავთობის და გაზის არსებული მილსადენები	მარნეულის ქვესადგურის გაფართოება	TANAP
დასახლებების ჯანდაცვა და უსაფრთხოება	+	-	-
ტრანსპორტის მოძრაობა		-	
დაუგეგმავი ღონისძიებები			

ზემოქმედების ტიპის განმარტება

-	შესაძლო უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება ნეიტრალური (ე.ი. კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის)
+	შესაძლო დადებითი კუმულაციური ზემოქმედება

11.4.1 ბუნებრივი რესურსების გამოყენება

ყველა სამშენებლო პროექტი იყენებს ბუნებრივ რესურსებს, როგორცაა საწვავი და ინერტული მასალები და ამით ამცირებს ასეთი სახის შეზღუდული რესურსების ხელმისაწვდომობას სამომავლო პროექტებისთვის.

ინერტულ მასალებზე ერთიანი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, SCPX პროექტისთვის შეიძლება საჭირო გახდეს ახალი კარიერების გახსნა, თუმცა, რამდენადაც საქართველოში არსებობს ბევრი ადგილი კარიერის შესაქმნელად, ეს მომავალში სხვა პროექტებისთვის ინერტული მასალის ხელმისაწვდომობას მნიშვნელოვნად არ შეამცირებს. სავარაუდოდ, მხოლოდ ძალიან მცირე რაოდენობის ინერტული მასალები იქნება საჭირო არსებულ მილსადენებზე მიმდინარე ტექნომსახურების სამუშაოებისთვის.

მარნეულის ქვესადგურის გაფართოებისას მშენებლობისთვის საჭირო იქნება ბეტონი და ხრეში, თუმცა, გამოქვეყნებულ ESIA-ში (GSE, 2013) საჭირო რაოდენობები მითითებული არ არის. სხვადასხვა პროექტების მიერ ბუნებრივი რესურსების გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს ბუნებრივ გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება.

11.4.2 ნიადაგები და გრუნტის მდგომარეობა

არსებული BTC და SCP მილსადენების გასხვისების დერეფნებში მიმდინარე ტექნომსახურების სამუშაოებმა, ასევე, SCPX-ს და TANAP მილსადენების მშენებლობის შემდგომმა აღდგენის სამუშაოებმა, შესაძლოა გამოიწვიოს დადებითი კუმულაციური ზემოქმედება ნიადაგისა და გრუნტის პირობებზე.

11.4.3 ლანდშაფტი

მშენებლობის დასრულების შემდეგ შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთები დაიმარხება მიწის ქვეშ, ხოლო ზედაპირი აღდგენილი იქნება ვიზუალური ზემოქმედების მინიმუმამდე შესამცირებლად. PRMS-ის გაფართოება მოხდება არსებული უბან 80-ის სიახლოვეს და ერთიან ლანდშაფტში არ ექნება ახალი მშენებლობის სახე. ამ ტერიტორიის ლანდშაფტზე ზემოქმედების შეფასება (ქვეთავი 10.4.5) არ შეცვლილა SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის შემდეგ. შესაბამისად, პოტენციური კუმულაციური ზემოქმედებები გაფართოების შემთხვევაში იგივეა, რაც იყო აღწერილი SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 11.4.3.

11.4.4 წყლის რესურსები

პროექტისთვის საჭირო იქნება წყალაღება მდინარე ფოცხოვიდან ჰიდროსტატიკური ტესტირებისთვის, თუმცა, ზემოქმედებები, რომლებიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 14.4.4 ამ ეტაპზე რთული შესაფასებელია. სასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების არსებულმა სარწყავმა არხმა, რომლითაც გარკვეული რეჟიმით ხდება წყლის მიწოდება მდინარე ფოცხოვიდან, შესაძლოა კუმულაციურად შეამციროს მდინარის ნაკადი. თუმცა, შემოთავაზებული მისაღების დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის ჰიდროტესტისთვის საჭირო წყლის მცირე მოცულობის (2,500მ³) და შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით, მდინარე ფოცხოვზე მნიშვნელოვანი კუმულაციური ზემოქმედებები ნაკლებად სავარაუდოა. არსებობს შესაძლებლობა, რომ SCPX და TANAP პროექტებმა ჰიდროტესტისთვის საჭირო წყლის წყალაღება განახორციელონ მდინარე ფოცხოვიდან ერთი და იგივე დროს, რამდენადაც მდინარე მოედინება თურქეთიდან საქართველოში და წარმოადგენს ორივე მილსადენის სიახლოვეს არსებულ, ზედაპირული წყლის ძირითად ობიექტს. ერთდროული წყალაღების შემთხვევაში, არსებობს მდინარის დინებაზე უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედებების შესაძლებლობა.

არსებული მილსადენების ტექნომსახურების სამუშაოებისთვის სავარაუდოდ არ იქნება საჭირო დიდი მოცულობის წყალაღება. შესაბამისად, ეს ასპექტი შემოთავაზებულ SCPX მილსადენის დამატებით მონაკვეთებთან ერთად კუმულაციურ ზემოქმედებას არ გამოიწვევს.

11.4.5 ეკოლოგია

შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების მშენებლობა გამოიწვევს ადგილობრივი ფლორისა და ფაუნის შეშფოთებას. თუმცა, SCPX მილსადენის არსებულ SCP/BTC მილსადენებთან ერთად განთავსება შეამცირებს გამოყენებული მიწის ფართობს და ჰაბიტატის ფრაგმენტაციას, ხოლო ალდგენისა და ტექნომსახურების სამუშაოები, ასევე, შეეხება მშენებლობით გამოწვეულ შეშფოთებულ ტერიტორიებს.

არსებული SCP და BTC მილსადენების სამშენებლო დერეფნების მიმდინარე ტექნომსახურების სამუშაოებმა შესაძლოა გამოიწვიოს შეზღუდული უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება, თუმცა, რამდენადაც ჰაბიტატებს, რომლებსაც კვეთს შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთები, როგორც წესი, მცირე ეკოლოგიური ღირებულება აქვს. ეკოლოგიაზე ნარჩენი ზემოქმედების დაბალი მნიშვნელობა მილსადენის დამატებითი მონაკვეთებისთვის უცვლელი დარჩა.

11.4.6 ჰაერის ხარისხი

ჩაითვალა, რომ TANAP მილსადენის და მარნეულის ქვესადგურის გაფართოების მშენებლობა სავარაუდოდ არ მოახდენს პოტენციურ ზემოქმედებას ჰაერის ხარისხზე, თუმცა, მიწის სამუშაოების ჩატარების დროს და სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილებისას წარმოიქმნება მტვერი, და თუ SCPX მილსადენის სიახლოვეს ჩატარდება სხვა, ჯერ უცნობი, სამშენებლო სამუშაოები, შეიძლება წარმოიშვას დამატებითი მტვერი ატმოსფეროში ან შეიძლება მტვერის გაზრდილი კონცენტრაცია ჰაერში იყოს უფრო ხანგრძლივი. ასეთი რამ უფრო მეტად ალბათურია შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთის გასწვრივ, რადგანაც, ამ რეგიონში გაბატონებულია უფრო მშრალი გარემო პირობები, რაც მეტად უწყობს ხელს მტვერის წარმოქმნას. მტვერმა შეიძლება შეაწუხოს ადგილობრივი მოსახლეობა, ასევე შეიძლება იმოქმედოს მარცვლეულის ან თაფლის მოსავალზე, ან უკიდურეს შემთხვევებში, გამოიწვიოს რესპირატორული პრობლემების ზრდა. არსებობს სხვა სამშენებლო პროექტებით წარმოქმნილი მტვერით გამოწვეული უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედების შესაძლებლობა, თუმცა ზეგავლენა სავარაუდოდ იქნება ლოკალიზებული.

11.4.7 ხმაური და ვიბრაცია

ხმაურით გამოწვეულ კუმულაციურ ზემოქმედებაში წვლილის შესატანად სამუშაოები უნდა ჩატარდეს ერთმანეთთან ახლოს და განხორციელდეს ერთდროულად.

შემოთავაზებული SCPX მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის, PRMS-ის მშენებლობის და TANAP-ის (ცალკე პროექტი, საკუთარი სამშენებლო აღჭურვილობით) სამშენებლო სამუშაოებმა შესაძლოა წარმოიშვას ხმაურის და ვიბრაციის კუმულაციური ზემოქმედებები, რომლებიც ძირითადად ზეგავლენას მოახდენს საქართველო-თურქეთის საზღვარზე მყოფ არარეზიდენტ რეცეპტორებზე. თუმცა, შესაძლო უარყოფითი ზემოქმედებები შესაძლოა წარმოიშვას SCPX-ის, PRMS-ის და TANAP-ის ერთდროული მშენებლობის შედეგად.

არსებული მშენებლობებისთვის, ისევე როგორც ახალი პროექტებისთვის, გამოყენებული იქნება იგივე საგზაო სისტემა, რომელსაც SCPX იყენებს ლოჯისტიკისა და ტრანსპორტირებისთვის. ნაკლებ სავარაუდოა, რომ სხვა პროექტების სამშენებლო სატრანსპორტო საშუალებები გამოიყენებენ იგივე სოფლების გზებს, რომლებიც გამოიყენება SCPX პროექტის ფარგლებში, თუმცა ამის გამორიცხვა მაინც არ შეიძლება. თუ ეს მოხდა, ვიბრაციით გამოწვეული დაზიანების რისკი გაიზარდება ყველა სენსიტიური საკუთრებისთვის. მთავარ გზებთან მომიჯნავე საკუთრების დაზიანება განხილულია როგორც ნაკლებ სავარაუდო შემთხვევა, რამდენადაც, ეს საკუთრება მოშორებით მდებარეობს იმ გზებიდან, სადაც სატრანსპორტო მოძრაობის მოცულობა დიდია; თუ შენობა შეიძლება დაზიანდეს ვიბრაციის შედეგად, უფრო მეტად სავარაუდოა, რომ შენობა უკვე დაზიანებულია და შესაბამისად ეს დაზიანება ვერ იქნება პირდაპირ დაკავშირებული არსებულ პროექტებთან. ვიბრაციის შედეგად შესაძლოა წარმოიშვას უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედებები; ზემოქმედების მნიშვნელობა დამოკიდებული იქნება რეცეპტორის სიახლოვესა და სატრანსპორტო მოძრაობის სიხშირესა და მოცულობაზე.

11.4.8 კულტურული მემკვიდრეობა

არსებული BTC და SCP მილსადენების მშენებლობისას განხორციელდა კულტურული მემკვიდრეობის მართვის მდგრადი და სისტემატური პროგრამა და იდენტიფიცირებული იქნა კულტურული მემკვიდრეობის ობიექტები, რომლებიც შეიძლება გავრცელდეს 48”- დიამეტრიანი მილსადენის მარშრუტზე (იხ. ქვეთავი 7.10). მართვის ეს მიდგომა ასევე შემოთავაზებული იყო SCPX პროექტში გამოყენებისთვის და დეტალურად აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 10.10 და დანართში D. ამ მიდგომის მიხედვით, ადგილის უკეთ შესწავლის მიზნით, მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სიახლოვეს მდებარე ცნობილ უბნებზე ჩატარდება წინასამშენებლო კვლევები და გათხრები. აღნიშნული არეალის დამატებითი შესწავლა მნიშვნელოვან და დადებით წვლილს შეიტანს არსებული ცოდნის გაღრმავებაში, რასაც სასარგებლო კუმულაციური ზემოქმედება ექნება. BTC და SCP მილსადენების მიმდინარე ტექნომსახურების სამუშაოების ჩატარებისას მკაცრად არის დაცული კულტურული მემკვიდრეობის მართვის პროცედურა და შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება პოტენციურად პოზიტიური იქნება.

11.4.9 დასაქმება და უნარები

საინჟინრო პროექტის განახლებებისთვის დასაქმებასა და უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული კუმულაციური ზემოქმედებები უცვლელი რჩება. ნებისმიერი პროექტის მშენებლობა გაზრდის სამუშაო ადგილების რაოდენობას, რაც გამოწვევს სინერგისტულ, დადებით ზემოქმედებას.

11.4.10 საარსებო წყაროები

საარსებო წყაროებზე შესაძლო კუმულაციურ ზემოქმედებას აქვს ლოკალური ხასიათი. მოსალოდნელია, რომ ზემოქმედება იქნება დადებითი იმ ბიზნესებისა და ცალკეული პირებისთვის, რომლებსაც შეუძლიათ რომელიმე პროექტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება.

SCPX პროექტმა შეიძლება ზემოქმედება მოახდინოს იმ ადამიანების საარსებო წყაროებზე, რომლებიც ფლობენ და იყენებენ იმ მიწას, რომელიც დროებით გამოყენებული იქნება მილსადენის დამატებითი მონაკვეთების და PRMS-ის გაფართოების მშენებლობისთვის (პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ადამიანები). ამ ადამიანებს შორის ზოგიერთზე შესაძლოა ზემოქმედებას ახდენდეს არსებული BTC და SCP მილსადენების ტექნოლოგიების სამუშაოები. თუმცა, რამდენადაც ამ მილსადენების ფარგლებში მოქმედებს კომპენსაციის პოლიტიკა, საოპერაციო ტექნოლოგიების სამუშაოებით გამოწვეულ მიმდინარე ზემოქმედებებთან დაკავშირებით, ნავარაუდევია, რომ კუმულაციური ზემოქმედება უმნიშვნელო იქნება.

11.4.11 ადგილობრივი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება

BTC, SCP, SCPX და TANAP პროექტები ერთად იმოქმედებენ უსაფრთხოების საკითხების მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, პროექტის პერსონალის ტრენინგის და PAC-ებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების გზით.

სხვადასხვა პროექტით წარმოქმნილი მტვრით გამოწვეული კუმულაციური ზემოქმედება დასახლებული პუნქტების მოსახლეობის ჯანმრთელობაზე განხილულია ქვეთავში 11.4.6, ხმაური და ვიბრაცია - ქვეთავში 11.4.7 და სატრანსპორტო მოძრაობა - ქვეთავში 11.4.12. რამდენადაც ყველა ეს საკითხი შეფასებულია, როგორც პოტენციურად უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედების გამოწვევი, ასევე შეფასდა, რომ ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე საერთო პოტენციური კუმულაციური ზემოქმედება იქნება უარყოფითი.

11.4.12 სატრანსპორტო მოძრაობა

პროექტი ითვალისწინებს დიდი რაოდენობით საავტომობილო ტრანსპორტის გადაადგილებას საზოგადოებრივი მოხმარების გზებზე, რომლებსაც ასევე იყენებენ სხვა დეველოპერული და სამშენებლო პროექტები (როგორცაა მარნეულის გაფართოების პროექტი) და მოსახლეობა. ამან შესაძლოა გამოიწვიოს უარყოფითი კუმულაციური ზემოქმედება გზების დროებით გადატვრთვის ან საგზაო შემთხვევების გაზრდილი რისკის სახით.

არსებული მილსადენების ტექნოლოგიების სამუშაოები არ მოახდენს მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებას სატრანსპორტო მოძრაობაზე.

გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ხმაურის და ვიბრაციის ზემოქმედებები განხილულია თავში 11.4.7. გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობით გამოწვეული ზემოქმედებები ჰაერის ხარისხზე, მტვრის ჩათვლით, განხილულია თავში 11.4.6.

11.4.13 დაუგეგმავი ღონისძიებები

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ახალი მშენებლობები SCPX მილსადენიდან და ინფრასტრუქტურაიდან განსაზღვრულ მანძილზე დაშვებული არ არის. მილსადენიდან 500მ მოშორებით ნებისმიერი დაგეგმილი მშენებლობის საჭიროების შემთხვევაში მოხდება რისკის შეფასება. SCPX ინფრასტრუქტურაიდან მესამე პირების მიერ განხორციელებული მშენებლობების უსაფრთხო მანძილით დაშორება უზრუნველყოფს იმას, რომ მესამე მხარის მშენებლობაზე მომხდარ ინციდენტში SCPX-ის ჩართვის (ან პირიქით) ალბათობა იყოს მინიმალური.

არსებული BTC და SCP მილსადენების მსგავსად SCPX 48"-დიამეტრიანი მილსადენი ჩაიმარხება მიწაში. ჩატარებული იქნა რისკის შეფასების კვლევა მილსადენებს შორის ისეთი მანძილის შესარჩევად, რომ ერთი მილსადენის სრული გახეთქვა ან აფეთქება არ

გავრცელდეს სხვა მილსადენებზე. ბუნებრივი გაზის მილსადენის ინდუსტრიაში არსებული უსაფრთხოების მსგავსი სტანდარტები ასევე გამოსადეგია TANAP მილსადენისთვის, რომელსაც SCPX მილსადენი დაუკავშირდება საქართველო-თურქეთის საზღვარზე. ეს სხვა მილსადენებთან კუმულაციური ზემოქმედების ალბათობას შეამცირებს მინიმუმამდე.

BTC და SCP მილსადენების ნებისმიერი ისეთი ტექნოლოგიური სამუშაოსთვის, რომელიც განხორციელდება SCPX მილსადენის ან ობიექტების ახლოს, არსებობს მკაცრი პროცედურები. პროცედურების მიზანია, რომ დაუგეგმავი მოვლენის მოხდენის შესაძლებლობა რაც შეიძლება მცირე იყოს.

11.4.14 პოტენციური დამატებითი ზემოქმედებების სივრცობრივი საზღვრები

ზოგადად მომავალი პროექტების და შემოთავაზებული SCPX მილსადენის დამატებითი მონაკვეთების და PRMS-ის გაფართოების მშენებლობით გამოწვეული დამატებითი ზემოქმედებები ლოკალური ხასიათის უნდა იყოს, რასაც დაემატება ლოკალური ტრანსსაზღვრო ზემოქმედებები TANAP-თან დაკავშირების წერტილში, საქართველო-თურქეთის საზღვარზე. ქვემოთ შეჯამებულია დამატებითი ზემოქმედებების სივრცობრივი საზღვრები (იხ. ცხრილი 11-2).

ცხრილი 11-2: დამატებითი ზემოქმედებების სივრცობრივი საზღვრები

პროექტი	ადგილობრივი	რეგიონული	ეროვნული	საერთაშორისო
არსებული მილსადენების ტექნოლოგიური გაფართოება	+	+	-	-
მარნეულის ქვესადგურის გაფართოება	+	-	-	-
TANAP	+	+	-	-

განმარტება

-	კუმულაციური ზემოქმედება არ არსებობს
+	კუმულაციური ზემოქმედება არსებობს

11.5 შესაძლო კომბინირებული ზემოქმედებების შეფასება

საინჟინრო პროექტის განახლებებთან დაკავშირებული კომბინირებული ზემოქმედებები შეფასდა იგივე მეთოდოლოგიით, რომელიც აღწერილია SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 11.5 (იხ. დეტალური ინფორმაციის მისაღებად).

პოტენციურად მიიჩნევა, რომ მნიშვნელოვანი კომბინირებული ზემოქმედებები (ანუ საშუალო მნიშვნელობის მქონე ნარჩენი ზემოქმედებების მქონე) ძირითადად შემოიფარგლება სამშენებლო ფაზით. შეფასებისას განისაზღვრა, რომ შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სამშენებლო დერეფანთან ახლოს არსებული საკუთრება/დასახლებები, პოტენციურად განიცდიან დროებით კომბინირებულ ზემოქმედებებს, რომლებიც დაკავშირებულია გაზრდილ ხმაურთან, ვიბრაციასთან, ადგილობრივად წარმოქმნილ მტვერთან, ვიზუალურ ზემოქმედებასთან და ჰაერის ხარისხის პოტენციურ დაქვეითებასთან, რაც გამოწვეულია სამშენებლო უბნის ახლოს გაზრდილი სატრანსპორტო მოძრაობით. მილსადენის დამატებითი მონაკვეთების სიახლოვეს არ ყოფილა იდენტიფიცირებული არცერთი დასახლება/საკუთრება,

რომელზეც შესაძლებელია განხორციელდეს საშუალო ან მაღალი მნიშვნელობის კომბინირებული ზემოქმედებები. თუმცა, რამდენიმე დროებითი მუშაკი, რომელიც სარგებლობს PRMS კმნ1.5-თან ახლოს მდებარე საზაფხულო აგარაკით, შესაძლოა მოექცეს დაბალი მნიშვნელობის კომბინირებული ზემოქმედების ქვეშ.

SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშში აღნიშნულია, რომ ასევე მოსალოდნელია ადგილობრივ გზებზე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის ზრდა პროექტის სამშენებლო ფაზის დროს, რამაც შესაძლოა წარმოშვას მისასვლელ გზასთან ახლოს მდებარე დასახლებებზე დროებითი ზემოქმედებების იგივე კომბინაცია, როგორ ზემოქმედებებსაც აქვს ადგილი მილსადენის მარშრუტის გასწვრივ არსებულ საკუთრებაზე/დასახლებებზე. შეფასებული იქნა ასეთი კომბინირებული ზემოქმედებები შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების გასწვრივ არსებულ დასახლებებზე და დადგინდა, რომ ზემოქმედებების მნიშვნელობა დაბალია იქ, სადაც შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის მონაკვეთთან მილსასვლელი გზა გადის ხაიშის დასახლებაზე.

მშენებლობის დროს პროგნოზირებული ძირითადი კომბინირებული ზემოქმედებების შეჯამება მოცემულია ქვემოთ (იხ. ცხრილი 11-3).

ცხრილი 11-3: სამშენებლო ფაზის კომბინირებული ზემოქმედებების შეჯამება

ადგილი	მტვე- რი	ხმაური და ვიბრაცია	სატ- რან- სპორ ტო მოძ- რაობა	საარსებო წყარო	ლან- დშაფტი და ვიზუ- ალური რეცეპ- ტორები	დასახლე- ბების ჯანმრთე- ლობა და უსაფრთხო ება
სახლები კმნ59-ის ჩრდილოეთით, სოფელი ხაიში, შემოთავაზებული მილსადენის დამატებით აღმოსავლეთის მონაკვეთთან და დგუშის სადგურთან მისასვლელი გზა						
საზაფხულო აგარაკი PRMS კმნ1.5-ის ახლოს						

ღია მწვანე ფერის უჯრები აღნიშნავს დაბალი მნიშვნელობის პოტენციურ კომბინირებულ ზემოქმედებებს.

SCPX პროექტის დანარჩენი ნაწილის მსგავსად, შემოთავაზებული საინჟინრო პროექტის განახლებებმა (შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი მონაკვეთების ჩათვლით) შესაძლოა მოახდინოს მიწის მესაკუთრეებისა და მოიჯარეების მიწებზე კომბინირებული ზემოქმედება მათი სასოფლო-სამეურნეო რეჟიმის ლოკალიზებული დარღვევის და ზემოთ აღწერილი ტიპის სამშენებლო საქმიანობების გამო. სამშენებლო სამუშაოების დროებითი ხასიათის გამო და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ

მილსადენის სამშენებლო დერეფნის გასწვრივ დაგეგმილია სამუშაოების ხაზოვანი წესით განვითარება, ნებისმიერი მსგავსი ეფექტი სავარაუდოდ მოკლევადიანი იქნება. მათი მნიშვნელობა სავარაუდოდ განსხვავებული იქნება დროის, მოცულობის, ჩატარებული სამუშაოების ხასიათის და შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობის მიხედვით.

ექსპლუატაციის ფაზის დროს კომბინირებული ზემოქმედებები სავარაუდოდ იქნება უმნიშვნელო.

11.6 ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების შეფასება

წინამდებარე ESIA ფოკუსირებულია საინჟინრო პროექტის განახლებების ელემენტებზე, რომელთა მშენებლობა შემოთვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა SCPX ასევე არის საერთაშორისო პროექტი. ამ მილსადენით უნდა მოხდეს ბუნებრივი აირის გადაზიდვა იმ ქვეყნიდან სადაც ხდება მისი წარმოება (აზერბაიჯანი) ქვეყნებში, სადაც მოხდება ამ ბუნებრივი აირის მოხმარება (საქართველო, თურქეთი და სხვა ევროპული ქვეყნები).

საინჟინრო პროექტის განახლების შემდეგ, SCPX მილსადენი დასრულდება საქართველო-თურქეთის საზღვართან, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ზემოქმედებების (რომლებიც როგორც წესი განიხილება როგორც ლოკალური ზემოქმედება) გავრცელება თურქეთს ტერიტორიაზე. გარდა ამისა, პროექტის ჰაერის დამაბინძურებელმა ემისიებმა შესაძლოა გამოიწვიოს (დამოკიდებულია დისპერსიაზე) ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება. ასევე მოსალოდნელია სათბურის აირების ემისია.

11.6.1 ადგილობრივი ზემოქმედებების საქართველო-თურქეთის საზღვარზე

საინჟინრო პროექტის განახლებები მოიცავს მილსადენის დამატებით დასავლეთის მონაკვეთს, რომელიც დაიწყება PRMS-თან და დასრულდება საქართველო-თურქეთის საზღვართან, სადაც ის დაუკავშირდება TANAP მილსადენს (რომელიც აშენდება ცალკე). ისეთი ზემოქმედებების გავრცელება, როგორცაა ხმაური და ვიბრაცია, ვიზუალური ზემოქმედება, მტვერი და ეკოლოგიური ზემოქმედებები, ხდება წარმოშობის წერტილიდან (მილსადენის სამშენებლო დერეფანი) რამდენიმე ასეულ მეტრზე. თურქული სოფელი თურგოზუ, რომელიც SCPX მილსადენის საბოლოო წერტილიდან დაახლოებით 400მ მანძილზე მდებარეობს, შესაძლოა მოექცეს შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის მშენებლობით გამოწვეული ხმაურის, ვიბრაციის, ვიზუალური და მტვრის ზემოქმედებების ქვეშ. რამდენადაც, ზემოქმედებები დროებითი ხასიათისაა და შემოიფარგლება მხოლოდ SCPX მილსადენის მშენებლობის ფაზით, და ასევე SCP და BTC მილსადენების მშენებლობით მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებების მნიშვნელობა იქნება დაბალი.

11.6.2 მდინარეები ფოცხოვი და მტკვარი

მდინარე ფოცხოვი სათავეს იღებს თურქეთში, მიედინება დასავლეთის მიმართულებით დაახლოებით 35კმ მანძილზე და შემდეგ ჩაედინება მდინარე მტკვარში. როგორც აღწერილია ქვეთავში 11.6.1, მდინარე მტკვარი მიედინება საქართველოდან (გარდაბანის სამხრეთ-აღმოსავლეთით) აზერბაიჯანში, სადაც იგი კვეთს ამ ქვეყნის ტერიტორიას და ჩაედინება კასპის ზღვაში, ბაქოს სამხრეთით. მდინარე ფოცხოვიდან მცირე მოცულობის წყალაღება, რომელიც საჭიროა შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი დასავლეთის მონაკვეთის ჰიდროსტატიკური ტესტისთვის (მდინარის ქვემო წელზე შენაკადების არსებობის გათვალისწინებით) და მდინარე მტკვრიდან წყალაღება, რომელიც საჭიროა შემოთავაზებული მილსადენის დამატებითი აღმოსავლეთის

მონაკვეთის ჰიდროსტატიკური ტესტირების, სავარაუდოდ, გამოიწვევს დაბალი მნიშვნელობის უარყოფით ტრანსსასაზღვრო ზემოქმედებებს.

11.6.3 ატმოსფერო

მილსადენის დამატებითი მონაკვეთები არ გამოიწვევს ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან დამატებით ზემოქმედებას. შეფასების მიხედვით, PRMS-ის გაფართოება და დამატებითი გამათბობლების მონტაჟი გამოიწვევს დაბალი მნიშვნელობის ნარჩენ ზემოქმედებას ჰაერზე და შესაბამისად ჰაერის ხარისხის ცვლილებით გამოწვეული ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება სავარაუდოდ ასევე იქნება დაბალი მნიშვნელობის.

11.6.4 სათბურის აირების ემისია

სათბურის აირის ემისიები არ გულისხმობს მხოლოდ ლოკალურ ზემოქმედებებს; ეს ემისიები გლობალურად ზრდის ასეთი აირების კონცენტრაციას ატმოსფეროში. საინჟინრო პროექტის განახლებები, რომლებიც წარმოადგენს ESIA-ს დამატების შესწავლის საგანს, გამოიწვევს სათბურის აირის ემისიების მოცულობის მხოლოდ მცირე ზრდას, 56"-დიამეტრიან მილსადენის საინჟინრო პროექტთან შედარებით.

როგორც ეს მოცემულია ESIA-ს დამატების ქვეთავში 5.9.6, SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის მიხედვით, ემისიების საერთო მოცულობაა 599,500 ტონა CO_{2eq}-ის პირდაპირი ემისიები წელიწადში, რასაც ემატება 4000 ტონა CO_{2eq}-ის არაპირდაპირი ემისიები წელიწადში (ელექტროენერჯის მომარაგების სისტემიდან) და ჯამში შეადგენს 603,500 ტონა CO_{2eq}-ის ემისიებს წელიწადში.

საინჟინრო პროექტის განახლებების გათვალისწინებით მილსადენი და მისი ინფრასტრუქტურა, სავარაუდოდ, წარმოქმნის 600,000 ტონა CO_{2eq}-ის პირდაპირ ემისიებს წელიწადში და დაახლოებით 4,000 ტონა CO_{2eq}-ის არაპირდაპირ ემისიებს წელიწადში (ელექტროენერჯის მომარაგების სისტემიდან), რაც ჯამში შეადგენს 604,000 ტონა CO_{2eq}-ის ემისიებს წელიწადში. ზრდა გამოწვეულია PRMS-ზე წარმოქმნილი CO_{2eq}-ის ემისიების ზრდით, რაც აკომპენსირებს დღუშის სადგურის ექსპლუატაციით გამოწვეულ შემცირებულ ემისიებს.

ამ ზემოქმედების აღწერა იხილეთ SCPX ESIA-ს საბოლოო ანგარიშის ქვეთავში 11.6.3.